სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამები

სარჩევი

მსოფლიოს სოციალურ-პოლიტიკური და ტურიზმის გეოგრაფია 2
პოლიტიკის მეცნიერება 6
ჟურნალისტიკა 10
ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია (ქართული, რუსულენოვანი კომპონენტით) 14
საერთაშორისო ურთიერთობები 18
სოციალური მუშაობა 21
სოციოლოგია 25

პროგრამის სახელწოდება	მსოფლიოს სოციალურ-პოლიტიკური და ტურიზმის გეოგრაფია Socio-Political and Tourism Geography of the World
საფეხური	ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები.
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაცია	საზოგადოებრივი გეოგრაფიის ბაკალავრი Bachelor of Human Geography
სწავლების ხანგრძლივობა	8 სემესტრი
ECTS	240
სწავლების გადასახადი	2250
პროგრამის განხორციელების ადგილი	თსუ მეექვსე კორპუსი, ჭავჭავაძის 8
პროგრამის განმახორციელებელი ერთეული	სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
	საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულება
საკონტაქტო პირი	პროგრამის ხელმძღვანელი: გიორგი გოგსაძე, გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; იოსებ სალუქვაძე, გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
	პროგრამის კოორდინატორი: -
	ტელ.: +995 599 56 40 00; +995 599 50 22 43.
	ელფოსტა: dphil@tsu.ge
	პროგრამის სტრუქტურა
კურსის სტატუსი	ECTS-მოცულობა
სავალდებულო საუნივერსიტეტო	50 კრედიტი
სავალდებულო დარგობრივი	90 კრედიტი
არჩევითი კრედიტი	30 რედიტი
თავისუფალი კრედიტი	10 კრედიტი
დამატებითი პროგრამა (minor)	60 კრედიტი

სულ	240 კრედიტი

პროგრამის მიზანი

მსოფლიოს სოციალურ-პოლიტიკური და ტურიზმის გეოგრაფიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია ახალგაზრდა თაობის მომზადება დარგის შესაბამის სპეციალისტებად (სწავლების საფეხურის შესაბამისად), რომლებიც დაინტერესებულნი არიან მიიღონ მრავალმხრივი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა საზოგადოებაში მიმდინარე პროცესების სივრცე–დროით ასპექტების შესახებ და შეიძინონ სტატისტიკურ მასალებთან მუშაობის, გის ტექნოლოგიების გამოყენების, ზოგადი შეფასების და ანალიზის პრაქტიკული უნარ-ჩვევები, რაც კურსდამთავრებულებს ხელს უწყობს აქტიური მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო/საზოგადოებრივი/ბიზნეს ორგანიზაციების მართვაში და მათი ფუნქციონირების ეფექტიანობის ამაღლებაში.

სწავლის მეთოდები

- ვერბალური (მონოლოგი, დიალოგი);
- ლიტერატურასა და სხვა წყაროებზე მუშაობის მეთოდი,
- საველე კვლევისა და დაკვირვების მეთოდი,
- შედარებითი ანალიზის მეთოდი,
- მონაცემთა ვიზუალიზაციისა და კარტოგრაფიული მეთოდი,
- სტატისტიკური ანალიზის მეთოდი,
- გეოინფორმაციული (გის) და დისტანციური ზონდირების მეთოდი,
- ელექტრონული სწავლების მეთოდი,
- გუნდური მუშაობა და დისკუსია,
- ელექტრონული სწავლების მეთოდები.

შეფასების პროცედურები

შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა) (A) ფრიადი –შეფასების 91-100 ქულა;
ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

არსებობს ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ვ) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება;

ზ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

დასკვნით და დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არა ნაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღისა.

შეფასების კრიტერიუმები წარმოადგენს შეფასების მეთოდის საზომ ერთეულს, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე საგანმანათლებო პროგრამის თითოეული კომპონენტებისთვის.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის წინაპირობა განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებში, ხოლო დასკვნითი გამოცდა ითვლება ჩაბარებულად, თუ სტუდენტმა გამოცდაზე მიიღო მაქსიმალური ქულის 50 % (დამატებითი პირობები განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსის მიხედვით).

საბაკალავრო ნაშრომის შეფასება ხდება სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბაკალავრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესის[1] მიხედვით.

სწავლის შედეგები

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:

ა) ცოდნა და გაცნობიერება

- საფუძვლიანად აღწერს დედამიწის საზოგადოებრივი და ბუნებრივი სისტემების განვითარების ძირითად თავისებურებებს, მის ფარგლებში მიმდინარე პროცესებს, მათ ისტორიასა და მატერიალურ საფუძველს;
- განმარტავს გლობალურ დონეზე სოციალურ-ეკონომიკური და/ან ბუნებრივი კომპლექსური პროცესების მიმდინარეობის თავისებურებებს და ურთიერთდამოკიდებულებას გეოგრაფიულ და სოციალურ გარემოს შორის;
- კრიტიკული გააზრების საფუძველზე განმარტავს რეგიონების, ადგილებისა და მოვლენების მრავალფეროვნებასა და ურთიერთდამოკიდებულებას.

ბ) უნარები

- დამოუკიდებლად მოიძიებს ზოგადი გეოგრაფიული მეცნიერებების სფეროში არსებულ მასალას (მათ შორის ინტერნეტის საშუალებით და საველე პირობებში), ახდენს მათ განზოგადებას, ანალიზს, შეფასებას; ინფორმაცის ტრანსფორმაციის საფუძველზე წერს ანგარიშებს;
- კონკრეტული რჩევების საფუძველზე შეიმუშავებს დასკვნებს საზოგადოებრივ-გეოგრაფიული პროცესების და მოვლენების შესახებ;
- საზოგადოებრივი სისტემების განხილვისას იყენებს სტატისტიკურ, კარტოგრაფიულ და გის-ის მეთოდებს;
- ამზადებს და ატარებს ზეპირ პრეზენტაციებს, როგორც ქართულ, ასევე უცხოურ ენა(ებ)ზე;
- პრაქტიკაში იყენებს კარტოგრაფიულ და გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემების მეთოდებს და მიდგომებს;
- მართებულად იყენებს დარგობრივ ცნებებსა და ტერმინოლოგიას.

გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

- მითითების საფუძველზე, თანამედროვე თეორიებისა და მიდგომების გამოყენებით ატარებს კვლევას სხვადასხვა რეგიონში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკური პროცესების და ტურიზმის ტერიტორიული ასპექტების შესახებ;

[1] საბაკალავრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესი https://bit.ly/2WhKPsQ

- საკუთარ კვლევაში იყენებს თანამედროვე თეორიებს და მიდგომებს;
- კვლევას წარმართავს სამეცნიერო ეთიკისა და პრინციპების დაცვით.

დასაქმების სფეროები

კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს საქალაქო და ბუნებრივი გარემოს დაგეგმვისა და მართვის სამსახურებში, მიწის მართვის სისტემაში, ეკონომიკური განვითარებისა და მართვის ორგანოებსა და კომპანიებში, სატრანსპორტო ორგანიზაციებში, საკონსულტაციო კომპანიებში, საბანკო და საფინანსო დაწესებულებებში/ფირმებში, მასმედიაში, სასტუმრო და ტურიზმის სფეროში, საგარეო ურთიერთობათა სისტემაში, შრომის ბაზართან და სოციალურ უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ სფეროებში.

პროგრამის სახელწოდება	
	პოლიტიკის მეცნიერება **Political Science**
საფეხური	ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები.
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაცია	პოლიტიკის მეცნიერების ბაკალავრი Bachelor of Political Science
სწავლების ხანგრძლივობა	8 სემესტრი
ECTS	240
სწავლების გადასახადი	2250
პროგრამის განხორციელების ადგილი	თსუ VI კორპუსი, ჭავჭავაძის 8
პროგრამის განმახორციელებელი ერთეული	სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
	პოლიტიკის მეცნიერების მიმართულება
საკონტაქტო პირი	**პროგრამის ხელმძღვანელი:** მალხაზ მაცაბერიძე პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; ალექსანდრე კუხიანიძე, ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი, პროფესორი.
	პროგრამის კოორდინატორი: -
	ტელ.: +995 599 14 51 69; +995 599 51 84 17.
	ელფოსტა: dphil@tsu.ge
	პროგრამის სტრუქტურა
კურსის სტატუსი	ECTS-მოცულობა
სავალდებულო საუნივერსიტეტო	50 კრედიტი
სავალდებულო დარგობრივი	65 კრედიტი
არჩევითი დარგობრივი	55 კრედიტი
თავისუფალი კრედიტები	10 კრედიტი
დამატებითი პროგრამა (minor)	60 კრედიტი
სულ	240 კრედიტი
პროგრამის მიზანი	

პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამის მიზანია კურსდამთავრებულებს:

- მისცეს მრავალმხრივი და თეორიული ცოდნა პოლიტიკის მეცნიერებისა და მისი ცალკეული სუბ-დისციპლინების (პოლიტიკური თეორია, შედარებითი და საჯარო პოლიტიკა, მსოფლიო პოლიტიკა, პოლიტიკური კომუნიკაცია და მეთოდოლოგია) შესახებ;
- ჩამოუყალიბოს ისტორიული და თანამედროვე პოლიტიკური პროცესებისა და მოვლენების ანალიზის უნარი;
- გამოუმუშაოს დარგობრივი საქმიანობის უნარი ეთიკურ პრინციპებზე დაყრდნობით;
- ჩამოუყალიბოს საზოგადოებრივი პრობლემების გადაჭრის პროცესში ინდივიდუალური ხედვა.

სწავლის მეთოდები

1. ვერბალური (დიალოგი, ინტერაქცია);
2. დემონსტრირების მეთოდი;
3. ჯგუფური მუშაობის მეთოდი;
4. ინდუქციური და დედუქციური მეთოდები;
5. დისკუსია/დებატები;
6. შემთხვევის შესწავლა (case study);
7. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება;
8. გონებრივი იერიში;
9. როლური და სიტუაციური თამაში;
10. ელექტრონული სწავლების მეთოდები.

შეფასების პროცედურები

შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა) (A) ფრიადი –შეფასების 91-100 ქულა;
ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

არსებობს ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ვ) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება;
ზ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

დასკვნით და დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არა ნაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღისა.

შეფასების კრიტერიუმები წარმოადგენს შეფასების მეთოდის საზომ ერთეულს, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე საგანმანათლებო პროგრამის თითოეული კომპონენტებისთვის.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის წინაპირობა განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებში, ხოლო დასკვნითი გამოცდა ითვლება ჩაბარებულად, თუ სტუდენტმა გამოცდაზე მიიღო მაქსიმალური ქულის 50 % (დამატებითი პირობები განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსის მიხედვით).

საბაკალავრო ნაშრომის შეფასება ხდება სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბაკალავრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესის[2] მიხედვით.

სწავლის შედეგები

ა) ცოდნა და გაცნობიერება;

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:

- აღწერს პოლიტიკის მეცნიერებისა და მისი ძირითადი სუბ-დისციპლინების შესწავლის ობიექტებსა და განვითარების დინამიკას;
- ადარებს და აპირისპირებს პოლიტიკის მეცნიერების ძირითად ცნებებს, თეორიებსა და მოდელებს;
- გამოკვეთს პოლიტიკის მეცნიერების თეორიის ძირითად იდეებსა და პრობლემატიკას;

ბ) უნარები;

- პოლიტიკის მეცნიერებაში შერჩეული კვლევის მეთოდოლოგიისა და დიზაინის გამოყენებით, აგროვებს, აორგანიზებს და ხსნის მეორეულ ინფორმაციას;
- აანალიზებს საქართველოსა და მსოფლიოს პოლიტიკური სისტემების განვითარების კანონზომიერებებსა და პოლიტიკური იდეოლოგიების მახასიათებლებს;
- უკავშირებს პოლიტიკური მოძღვრებების ისტორიის საკითხებს თანამედროვე საჯარო პოლიტიკური პროცესის გამოწვევებს;
- პოლიტიკური პროცესებისა და მოვლენების განხილვისას, ამოიცნობს პოლიტიკური კომუნიკაციის საშუალებებს;

გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

- მითითების შესაბამისად, აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვითა და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, ამზადებს აკადემიური დარგის შესაბამის პრაქტიკულ და კვლევით ნაშრომებს;
- ასახელებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ პრობლემებსა და მათი გადაჭრის ალტერნატიულ გზებს;
- გეგმავს სამომავლო პროფესიულ საქმიანობას სწავლის გაგრძელებისა და ცოდნის გაღრმავების მიზნით.

დასაქმების სფეროები

[2] საბაკალავრო ნაშრომის მომზადბისა და დაცვის წესი https://bit.ly/2WhKPsQ

- საჯარო სექტორი (როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი დონის დაწესებულებები);
- კერძო სექტორი;
- არასამთავრობო ორგანიზაციები;
- საერთაშორისო ორგანიზაციები;
- კვლევითი ცენტრები;
- პოლიტიკური პარტიები.

პროგრამის სახელწოდება	ჟურნალისტიკა Journalism
საფეხური	ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაცია	ჟურნალისტიკის ბაკალავრი Bachelor of Journalism
სწავლების ხანგრძლივობა	8 სემესტრი
ECTS	240
სწავლების გადასახადი	2250
პროგრამის განხორციელების ადგილი	თსუ მეექვსე კორპუსი, ჭავჭავაძის 8
პროგრამის განმახორციელებელი ერთეული	სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
	ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულება
საკონტაქტო პირი	პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი: მანანა შამილიშვილი, ფილოლოგიის დოქტორი (ჟურნალისტიკა), პროფესორი; მაია ტორაძე, ფილოლოგიის დოქტორი (ჟურნალისტიკა), ასოცირებული პროფესორი
	პროგრამის კოორდინატორი: -
	ტელ.: +995 577 45 29 12 +995 599 58 53 78
	ელფოსტა: dphil@tsu.ge
	პროგრამის სტრუქტურა
კურსის სტატუსი	ECTS-მოცულობა
სავალდებულო საუნივერსიტეტო	50 კრედიტი
სავალდებულო დარგობრივი	70 კრედიტი
არჩევითი დარგობრივი	50 კრედიტი
თავისუფალი კრედიტები	10 კრედიტი
დამატებითი პროგრამა (minor)	60 კრედიტი
სულ	240 კრედიტი
პროგრამის მიზანი	

პროგრამის მიზანია, კურსდამთავრებულებს მისცეს მრავალმხრივი, თეორიული და პრაქტიკული ცოდნა ჟურნალისტიკის სფეროში, რათა მათ შეძლონ:

1. მედიის სფეროში (სამაუწყებლო, ონლაინ და ბეჭდურ მედიაში) პროფესიული საქმიანობის განხორციელება;
2. კრიტიკული, პასუხისმგებლიანი და ეთიკური მედიის განვითარებასა და სტანდარტების დანეგრვაში წვლილის შეტანა;
3. ჟურნალისტიკისა და მასმედიის სფეროში პროცესებისა და მოვლენების ანალიზი სინქრონიასა და დიაქრონიაში;
4. ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულებით პრაქტიკულ საქმიანობაში აქტიური მონაწილეობა.

სწავლის მეთოდები

- ვერბალური (მონოლოგი, დიალოგი);
- დემონსტრირების მეთოდი;
- ჯგუფური მუშაობის მეთოდი;
- ინდუქციური და დედუქციური მეთოდები;
- დისკუსია/დებატები;
- შემთხვევის შესწავლა;
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება;
- გონებრივი იერიში;
- როლური და სიტუაციური თამაში;
- ელექტრონული სწავლების მეთოდები.

შეფასების პროცედურები

შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა) (A) ფრიადი –შეფასების 91-100 ქულა;
ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

არსებობს ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ვ) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება;
ზ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

*დასკვნით და დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არა ნაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღისა.*შეფასების კრიტერიუმები წარმოადგენს შეფასების მეთოდის საზომ ერთეულს, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე საგანმანათლებო პროგრამის თითოეული კომპონენტებისთვის.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის წინაპირობა განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებში, ხოლო დასკვნითი გამოცდა ითვლება ჩაბარებულად, თუ სტუდენტმა გამოცდაზე მიიღო მაქსიმალური ქულის 50 % (დამატებითი პირობები განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსის მიხედვით). საბაკალავრო ნაშრომის შეფასება ხდება სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბაკალავრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესის[3] მიხედვით.
სწავლის შედეგები
საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული: ***ა) ცოდნა და გაცნობიერება*** • აღწერს და განასხვავებს ტრადიციული და ახალი მედიების ძირითად მახასიათებლებს (მასმედიის სახეები, თეორიები, სტრუქტურა, ენობრივ–სტილისტური მოთხოვნები, კლასიფიკაცია ჟანრების მიხედვით, ისტორიული კონტექსტი); • წარმოაჩენს მედიისა და ჟურნალისტის როლს დემოკრატიული პროცესების განვითარებაში; • მოიპოვებს და ზედმიწევნით განმარტავს სხვადასხვა წყაროდან მიღებულ უახლეს ინფორმაციას; • ჩამოთვლის და განმარტავს მედიის კვლევის მეთოდებსა და პროცედურებს. ***ბ) უნარები*** • მოიძიებს და შეარჩევს ახალ ინფორმაციას; • ამუშავებს აქტუალურ თემებს და ამოწმებს წყაროების სანდოობას; • ეთიკური სტანდარტებისა და ენობრივ–სტილისტური ნორმების დაცვით ქმნის სხვადასხვა სახის მედიაპროდუქტს და/ან ასრულებს კონკრეტულ კვლევით დავალებას; • არგუმენტირებულად და კრიტიკულად აფასებს პროცესებსა და მოვლენებს; • ეფექტურად იყენებს პროფესიულ საქმიანობაში თანამედროვე ტექნოლოგიებს; • ავლენს ზეპირ, წერილობით და სხვა სახის კომუნიკაციის უნარებს. ***გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა*** • პროფესიული საქმიანობისას ხელმძღვანელობს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების პრინციპებითა და დარგობრივი სტანდარტით; • შესაბამისი დარგობრივი, პრაქტიკული და კვლევითი ნაშრომების მომზადებისას იცავს აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ჟურნალისტური ეთიკის ძირითად პრინციპებს.
დასაქმების სფეროები
• მედიაორგანიზაციები; • საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურები; • არასამთავრობო ორგანიზაციები; • საერთაშორისო ორგანიზაციები; • კვლევითი ცენტრები;

[3] საბაკალავრო ნაშრომის მომზადბისა და დაცვის წესი https://bit.ly/2WhKPsQ

- საჯარო სექტორი;
- კერძო სექტორი.

პროგრამის სახელწოდება	ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია (ქართული, რუსულენოვანი კომპონენტით) Journalism and Mass Communications **Журналистика и Массовые Коммуникации**
საფეხური	ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების შერჩევის წესი განისაზღვრა ფაკულტეტის საბჭოს მიერ 2017 წლის 25 მაისს (ოქმი #3);
სწავლების ენა	ქართული (რუსულენოვანი ელემენტებით)
კვალიფიკაცია	სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი Bachelor of Social Sciences Бакалавр социальных наук
სწავლების ხანგრძლივობა	8 სემესტრი
ECTS	240
სწავლების გადასახადი	2250
პროგრამის განხორციელების ადგილი	თსუ მეექვსე კორპუსი, ჭავჭავაძის 8
პროგრამის განმახორციელებელი ერთეული	სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
	ჟურნალისტიკისა და მასობრიი კომუნიკაციის მიმართულება
საკონტაქტო პირი	პროგრამის ხელმძღვანელი: ხათუნა მაისაშვილი, მასობრივი კომინიკაციის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
	პროგრამის კოორდინატორი: ხათუნა მაისაშვილი, მასობრივი კომინიკაციის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
	ტელ.: +995 599 586 404
	ელფოსტა: dphil@tsu.ge
პროგრამის სტრუქტურა	
კურსის სტატუსი	ECTS-მოცულობა
სავალდებულო საუნივერსიტეტო	50 კრედიტი
სავალდებულო დარგობრივი	80 კრედიტი
არჩევითი დარგობრივი	40 კრედიტი

დამატებითი პროგრამა (minor)	60 კრედიტი
თავისუფალი კრედიტი	10 კრედიტი
სულ	240 კრედიტი

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია

- ჟურნალისტიკის დარგის ფართო სპექტრის სპეციალისტის - თანამედროვე პროფესიული სტანდარტებისა და შრომითი ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი რეპორტიორის, ანალიტიკოსის ან გამომძიებელი ჟურნალისტის - მომზადება, რომელიც შეძლებს, დასაქმდეს მედიაორგანიზაციაში სხვადასხვა პროფესიულ პოზიციაზე ან იმუშაოს დამოუკიდებელ ჟურნალისტად, რეპორტიორად, ბლოგერად
- არაქართველ სტუდენტებს შეასწავლოს ქართული ენა (წერა, მეტყველება) და გამოუმუშაოს მედიური პროდუციის შექმნის პროფესიული უნარები.

სწავლის მეთოდები

ლექცია; პრეზენტაცია; პროფესიულად მნიშვნელოვანი სიტუაციების მოდელირება და ფოკუს-ჯგუფები; პრაქტიკული პროდუქტის შექმნა; აკადემიური ტექსტების შექმნა; ელექტრონული სწავლების მეთოდები.

შეფასების პროცედურები

შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა) (A) ფრიადი –შეფასების 91-100 ქულა;
ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

არსებობს ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ვ) (FX) ვერ ჩაბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება;
ზ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

დასკვნით და დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არა ნაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღისა.

შეფასების კრიტერიუმები წარმოადგენს შეფასების მეთოდის საზომ ერთეულს, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე საგანმანათლებო პროგრამის თითოეული კომპონენტებისთვის.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის წინაპირობა განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებში, ხოლო დასკვნითი გამოცდა ითვლება ჩაბარებულად, თუ სტუდენტმა გამოცდაზე მიიღო მაქსიმალური ქულის 50 % (დამატებითი პირობები განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსის მიხედვით).

საბაკალავრო ნაშრომის შეფასების ფორმები და ქულები

(სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბაკალავრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესის[4] მიხედვით):

საბაკალავრო ნაშრომი წარმოადგენს სტუდენტის მიერ ინდივიდუალურად შესრულებულ სამუშაოს.

საბაკალავრო ნაშრომი ფასდება 100 ქულიანი სისტემით. საბაკალავრო ნაშრომი დაცულად ჩაითვლება და სტუდენტს შესაბამისი კრედიტი მიენიჭება წინასწარ დადგენილი მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში (არანაკლებ 51 ქულა). საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში **„(FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა“,** შეფასების მიღების შემთხვევაში, დაინიშნება დამატებითი გამოცდა, დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში; **„(F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები“,** შეფასების მიღების შემთხვევაში, ნაშრომის დაცვაზე წარდგენა იმავე სემესტრში დაუშვებელია.

საბაკალავრო ნაშრომს აფასებს: ხელმძღვანელი, რეცენზენტი და კომისია.

საბაკალავრო ნაშრომის საბოლოო შეფასება (ხელმძღვანელის, რეცენზენტისა და კომისიის), მაქსიმალური ქულა – 100. დადებითი შეფასება – მინიმუმ 51 ქულა.

- **ხელმძღვანელის შეფასება** - 20 ქულა
- **რეცენზენტის შეფასება** - 40 ქულა
- **ნაშრომის პრეზენტაცია** (ზეპირი წარდგენა) - 40 ქულა

ზეპირ წარდგენაზე დაშვების წინაპირობა: სტუდენტს ხელმძღვანელისა და რეცენზენტის შეფასების შემდეგ, დაგროვებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 30 ქულისა.

სწავლის შედეგები

ა) ცოდნა და გაცნობიერება; ბ) უნარები; გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:

1. აღწერს და განასხვავებს ტრადიციული და ახალი მედიის ძირითად ნიშან-თვისებებს (მედიუმების ტიპები და ნაირსახეობები, თეორიები, სტრუქტურები, ენობრივ–სტილური მოთხოვნები, კლასიფიკაცია ჟანრების მიხედვით, ისტორიული კონტექსტი);
2. წარმოაჩენს მედიისა და ჟურნალისტის როლს დემოკრატიული პროცესების და ზოგადად საზოგადოების განვითარებაში;

[4] საბაკალავრო ნაშრომის მომზადბისა და დაცვის წესი https://bit.ly/2WhKPsQ

3. მოიპოვებს და ზედმიწევნით (სრულად, ზუსტად და ეთიკის ნორმებს დაცვით) განმარტავს სხვადასხვა წყაროდან მიღებულ ინფორმაციას;
4. ჩამოთვლის და განმარტავს მედიის კვლევის მეთოდებსა და პროცედურებს;
5. მოიძიებს და შეარჩევს ახალ ინფორმაციას;
6. ამუშავებს აქტუალურ თემებს და ამოწმებს წყაროების სანდოობას;
7. ეთიკური სტანდარტებისა და ენობრივ–სტილისტური ნორმების დაცვით ქმნის სხვადასხვა სახის მედიაპროდუქტს და/ან ასრულებს კონკრეტულ კვლევით დავალებას;
8. არგუმენტირებულად და კრიტიკულად აფასებს პროცესებსა და მოვლენებს;
9. ეფექტურად იყენებს პროფესიულ საქმიანობაში თანამედროვე ტექნოლოგიებს;
10. ავლენს ზეპირ, წერილობით და სხვა სახის კომუნიკაციის უნარებს, როგორც ქართულ ისე რუსულ ენაზე;
11. პროფესიული საქმიანობისას ხელმძღვანელობს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების პრინციპებითა და დარგობრივი სტანდარტით;
12. შესაბამისი დარგობრივი, პრაქტიკული და კვლევითი ნაშრომების მომზადებისას იცავს აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ჟურნალისტური ეთიკის ძირითად პრინციპებს.

დასაქმების სფეროები

საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამის კურსადმათავრებულებს შეუძლიათ დასაქმდნენ: (1) ყველა ტიპის მედიაში; (2) ორგანიზაციებში, რომელთა სტრუქტურა მოიცავს პრეს-სამსახურს; (3) მედიის კვლევით ორგანიზაციებში, რომელთ პროფილი შეიძლება იყოს დიფერენცირებული და კვლევის გარდა მოიცავდეს მედიის მონიტორინგს, მედიაწიგნიერებას, მედიაკრიტიკას.

პროგრამის სახელწოდება	**საერთაშორისო ურთიერთობები** **International Relations**
საფეხური	ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები.
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაცია	საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი Bachelor of International Relations
სწავლების ხანგრძლივობა	8 სემესტრი
ECTS	240
სწავლების გადასახადი	2250
პროგრამის განხორციელების ადგილი	თსუ მეექვსე კორპუსი, ჭავჭავაძის 8
პროგრამის განმახორციელებელი ერთეული	სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
	საერთაშორისო ურთიერთობის მიმართულება
საკონტაქტო პირი	პროგრამის ხელმძღვანელი: ზურაბ დავითაშვილი, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი; პროფესორი
	პროგრამის კოორდინატორი: ზურაბ დავითაშვილი, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი; პროფესორი
	ტელ.: +995 577 55 58 38
	ელფოსტა: dphil@tsu.ge
	პროგრამის სტრუქტურა
კურსის სტატუსი	ECTS-მოცულობა
სავალდებულო საუნივერსიტეტო	50 კრედიტი
სავალდებულო დარგობრივი	105 კრედიტი
არჩევითი კრედიტი	15 კრედიტი
თავისუფალი კრედიტი	10 კრედიტი
დამატებითი პროგრამა (minor)	60 კრედიტი
სულ	240 კრედიტი
პროგრამის მიზანი	

პროგრამის მიზანია სტუდენტმა:

- შეიძინოს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ცოდნა საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი ცნებების და თეორიების, საერთაშორისო პოლიტიკის ფაქტორების, მექანიზმებისა და ინსტიტუტების შესახებ;
- შეიძინოს ზოგადი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკის, ევროპათმცოდნეობის, საერთაშორისო უსაფრთხოების და რეგიონული კვლევებისა და საგარეო პოლიტიკის სფეროებში;
- შეისწავლოს საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში არსებული ძირითადი ტენდენციები და მიდგომები, მათ შორის, საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში არსებული უახლესი მიმდინარეობები;
- მიიღოს კომპლექსური ცოდნა პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, გლობალური და რეგიონალური პროცესების შესახებ;
- მოახდინოს თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში არსებული ძირეული პრობლემების გააზრება და განზოგადება. ასევე ამ პრობლემებისადმი თეორიული ცოდნის მისადაგება;
- მიიღოს საფუძვლიანი დარგობრივი ცოდნა, რომელიც მას შესაბამის სფეროში დამოუკიდებელი ორიენტაციის, კვლევის, საკითხის დასმის, მოსაზრებების ორიგინალური განვითარებისა და პრაქტიკული გამოყენების საშუალებას მისცემს;
- შეისწავლოს ინგლისური და მეორე უცხოური ენა;
- შეიძინოს საბაკალავრო სწავლების დონისათვის გათვალისწინებული კვლევითი და ანალიტიკური უნარ–ჩვევები, რომელთა გამოყენებითაც შეძლებს, მათ შორის, საბაკალავრო ნაშრომის შესრულებას.

სწავლის მეთოდები

პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევისათვის გამოიყენება სწავლებისა და სწავლის სხვადასხვა მეთოდი:
ლექციები, პრაქტიკული სამუშაო ჯგუფები, პრეზენტაციები, ვერბალური, წიგნზე მუშაობის, დისკუსიის, დებატების, ინდუქციის, დედუქციის, ანალიზის, სინთეზის, ელექტორნული სწავლების[5], პრაქტიკული მეთოდები და სხვა.

სალექციო მეცადინეობის დანიშნულებაა ძირითადი თემების განხილვა თეორიულ ჭრილში და სტუდენტების უზრუნველყოფა სასწავლო კურსის მეთოდოლოგიური საფუძვლების შესახებ ინფორმაციით, შესაბამისად, სალექციო კურსი წარმოადგენს ბაზას უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისთვის, რომელიც შემდგომში ღრმავდება.

პრაქტიკული მეცადინეობისა და სამუშაო ჯგუფის დანიშნულებაა სტუდენტის მიერ თეორიული ცოდნის გაღრმავება-განმტკიცება, შესასწავლი საკითხის არსისა და მნიშვნელობის სათანადო გააზრება, პრაქტიკაში მისი გამოყენების შესაძლებლობების გამოკვეთა, პრაქტიკული საქმიანობისა და დამოუკიდებელი მუშაობის უნარ-ჩვევების გამომუშავება.

თეორიისა და პრაქტიკის ინტეგრაცია განხორციელდება შესაბამის ორგანიზაციაში პრაქტიკის გავლით.

შეფასების პროცედურები

შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა) (A) ფრიადი –შეფასების 91-100 ქულა;
ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

[5] ელექტრონული სწავლება https://bit.ly/3z1JWTG

გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

არსებობს ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ვ) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება;

ზ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.*დასკვნით და დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არა ნაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღისა.*შეფასების კრიტერიუმები წარმოადგენს შეფასების მეთოდის საზომ ერთეულს, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე საგანმანათლებო პროგრამის თითოეული კომპონენტებისთვის. დასკვნით გამოცდაზე გასვლის წინაპირობა განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებში, ხოლო დასკვნითი გამოცდა ითვლება ჩაბარებულად, თუ სტუდენტმა გამოცდაზე მიიღო მაქსიმალური ქულის 50 % (დამატებითი პირობები განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსის მიხედვით).

საბაკალავრო ნაშრომის შეფასება ხდება სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბაკალავრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესის[6] მიხედვით.

სწავლის შედეგები

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:

(რომელსაც აქვსს საერთაშორისო ურთიერთობების ფართო თეორიული და დარგობრივი ცოდნა; შეძენილ თეორიულ ცოდნას იყენებს პრაქტიკაში, საჭირო რესურსებით მოიპოვებს ინფორმაციას, აანალიზებს და შემოქმედებითად უდგება საკითხს; ზედამხედველობის ქვეშ წარმართავს ხარისხიან კვლევას, რისი მეშვეობითაც წარმატებით ართმევს თავს დაკისრებულ მოვალეობას)

ცოდნა და გაცნობიერება

- ჩამოთვლის და განმარტავს საერთაშორისო ურთიერთობების ძირითად ცნებებს და თეორიებს;
- დეტალურად აღწერს საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკის, ევროპათმცოდნეობის, საერთაშორისო უსაფრთხოების და რეგიონული კვლევების სფეროების ძირითადი საფუძვლებს;
- ასახელებს და განმარტავს ყველა იმ ფაქტორს, რომელიც ზემოქმედებს საერთაშორისო ურთიერთობების პროცესზე და ინსტიტუტებზე;
- შეძენილი ცოდნის საფუძველზე აღწერს სახელმწიფოს პოლიტიკას საერთაშორისო ურთიერთობათა კონტექსტში და განმარტავს გლობალიზაციის, რეგიონალიზაციისა და ინტეგრაციის როლს მნიშვნელობას თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში.

უნარი

- არჩევს და იყენებს სათანადო მეთოდებს მცირე მაშტაბიანი პროექტების დაგეგმვის და განხორციელების მიზნით;
- აკვირდება და აფასებს საერთაშორისო პროცესში წარმოქნილ სიტუაციასა და ვითარებას;
- მოიპოვებს და აანალიზებს სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციას, შემდგომ ახდენს სინთეზს;
- შერჩეული კვლევის მეთოდოლოგიისა და დიზაინის გამოყენებით, აგროვებს, აორგანიზებს და ხსნის ძირითად პრობლემებს;
- გარკვეული რჩევების საფუძველზე შეიმუშავებს პოზიციას და აყალიბებს საკუთარ არგუმენტირებულ თვალსაზრისს;
- აყალიბებს იდეებს, მათი გადაჭრის გზებს წერილობითი ანგარიშის ფორმით და წარადგენს დარგის სპეციალისტების წინაშე მშობლიურ ან

[6] საბაკალავრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესი https://bit.ly/2WhKPsQ

უცხოურ (პირველ რიგში ინგლისურ) ენაზე. **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა** • მითითების შესაბამისად, აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვითა და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, ამზადებს აკადემიური დარგის შესაბამის პრაქტიკულ და კვლევით ნაშრომებს; • ასახელებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ პრობლემებსა და მათი გადაჭრის ალტერნატიულ გზებს; • გეგმავს სამომავლო პროფესიულ საქმიანობას სწავლის გაგრძელებისა და ცოდნის გაღრმავების მიზნით.
დასაქმების სფერო
საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრს შეუძლია დასაქმდეს სამთავრობო და არასამთავრობო ინსტიტუციებში; ანალიტიკურ და სტრატეგიული კვლევის ცენტრებში; მასობრივი მედიის საშუალებებში; დიპლომატიურ სამსახურებში საკუთარი კომპენტეციის ფარგლებში.

პროგრამის სახელწოდება	**სოციალური მუშაობა** **Social Work**
საფეხური	ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	ერთიანი ეროვნული გამოცდები.
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაცია	სოციალური მუშაობის ბაკალავრი Bachelor of Social Work
სწავლების ხანგრძლივობა	8 სემესტრი
ECTS	240
სწავლების გადასახადი	2250
პროგრამის განხორციელების ადგილი	თსუ მეექვსე კორპუსი, ჭავჭავაძის 8
პროგრამის განმახორციელებელი ერთეული	სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულება
საკონტაქტო პირი	პროგრამის ხელმძღვანელი: სალომე ნამიჭეიშვილი, სოციალური მუშაობის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

	პროგრამის კოორდინატორი: სალომე ნამიჭეიშვილი, სოციალური მუშაობის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
	ტელ.: +995 599 71 17 19
	ელფოსტა: dphil@tsu.ge
პროგრამის სტრუქტურა	
კურსის სტატუსი	ECTS-მოცულობა
სავალდებულო საუნივერსიტეტო	50 კრედიტი
სავალდებულო დარგობრივი	90 კრედიტი
არჩევითი დარგობრივი	30 კრედიტი
თავისუფალი კრედიტი	10 კრედიტი
დამატებითი პროგრამა (minor)	60 კრედიტი
სულ	240 კრედიტი

პროგრამის მიზანი

სოციალური მუშაობის საბაკალავრო პროგრამის მიზანია მოამზადოს შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი დარგის კვალიფიციური სპეციალისტები (სოციალური მუშაობის ზოგადი პრაქტიკოსები) ადამიანების, მათი ოჯახებისა და ჯგუფების სოციალური კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად, კერძოდ:

1. უზრუნველყოს სტუდენტები სოციალური მუშაობის თეორიების, მეთოდებისა და მიდგომების შესახებ ფართო ცოდნით;
2. გააცნოს სტუდენტებს სოციალური მუშაობის ძირითადი მიზნობრივი ჯგუფებისა და მათთან მუშაობის მახასიათებლები ადამიანების, მათი ოჯახებისა და ჯგუფების სოციალური კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად;
3. განუვითაროს სტუდენტს სოციალური მუშაობის ზოგადი პრაქტიკის განხორციელების უნარ-ჩვევები შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად;
4. განუვითაროს სტუდენტებს პროფესიული ეთიკისა და ღირებულებების დაცვისა და საკუთარ პრაქტიკაზე რეფლექსიის უნარი.

სწავლის მეთოდები

შედეგების მისაღწევად გამოყენებული იქნება სწავლებისა და სწავლის შემდეგი მეთოდები:

1. ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი
2. წიგნზე მუშაობის მეთოდი
3. წერითი მუშაობის მეთოდი, რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის ან ესეს შესრულება
4. პრაქტიკული მეთოდები, რომლებიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ - ჩვევებს ჩამოუყალიბებს: სასწავლო პრაქტიკა ორგანიზაციებში, რომელიც საზოგადოებას სოციალური მუშაკის მომსახურებას თავაზობს
5. საველე მუშაობა
6. ელექტრონული სწავლება

სწავლების პროცესში გამოყენებული იქნება აგრეთვე ისეთი მეთოდები, როგორიცაა:

1. ლექცია, სემინარი
2. დისკუსია, დებატები
3. ჯგუფური მუშაობა
4. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება
5. შემთხვევის ანალიზი
6. გონებრივი იერიში
7. ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება და სასწავლო კურსებით განსაზღვრული სხვა მეთოდები.

შეფასების პროცედურები

შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა) (A) ფრიადი –შეფასების 91-100 ქულა;
ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

არსებობს ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ვ) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება;
ზ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

*დასკვნით და დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არა ნაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღისა.*შეფასების კრიტერიუმები წარმოადგენს შეფასების მეთოდის საზომ ერთეულს, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე საგანმანათლებო პროგრამის თითოეული კომპონენტებისთვის.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის წინაპირობა განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებში, ხოლო დასკვნითი გამოცდა ითვლება ჩაბარებულად, თუ სტუდენტმა გამოცდაზე მიიღო მაქსიმალური ქულის 50 % (დამატებითი პირობები განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსის მიხედვით).

საბაკალავრო ნაშრომის შეფასება ხდება სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბაკალავრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესის[7] მიხედვით.

სწავლის შედეგები

[7] საბაკალავრო ნაშრომის მომზადბისა და დაცვის წესი https://bit.ly/2WhKPsQ

ა) ცოდნა და გაცნობიერება; ბ) უნარები; გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

სოციალური მუშაობის საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულები:

1. დეტალურად აღწერენ ადამიანებისა და ჯგუფების ქცევის სოციალურ-ფსიქოლოგიურ საფუძვლებს, ადამიანთაშორისი ურთიერთობების დინამიკას და განმარტავენ მათ მნიშვნელობას სოციალური მუშაობის მომსახურების პროცესში მიკრო, მეზო და მაკრო დონეებზე;
2. აღწერენ სოციალური მუშაობის სამართლებრივი საფუძვლებისა და სოციალური კეთილდღეობის პოლიტიკების გავლენას სოციალური მუშაობის პრაქტიკულ საქმიანობაზე;
3. სოციალური მუშაობის მეთოდების კრიტიკულ ანალიზზე დაფუძნებით ირჩევენ შესაფერის მეთოდს ადამიანების მხარდასაჭერად როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე პრაქტიკაში არსებული მიდგომების გათვალისწინებით;
4. მსჯელობენ სოციალური მუშაობის ღირებულებებისა და კულტურულ-ტრადიციული ნორმების გავლენის შესახებ სოციალური მუშაობის პრაქტიკულ საქმიანობაზე;
5. განსაზღვრავენ სხვადასხვა სოციალური პრობლემის კვლევის გზებს და აყალიბებენ ზოგიერთ რეკომენდაციას ამ პრობლემების გადასაჭრელად კვლევით პროექტში მონაწილეობის გზით სამეცნიერო ხელმძღვანელის ზედამხედველობის ქვეშ;
6. ამყარებენ ეფექტურ კომუნიკაციას ყველა იმ სამიზნე ჯგუფთან, რომელსაც სთავაზობენ სოციალური მუშაობის მომსახურებას (მაგ., სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფის წარმომადგენლებთან);
7. სოციალური მუშაობის სამიზნე ჯგუფების საჭიროებებისა და ძლიერი მხარეების ანალიზის საფუძველზე, ახდენენ მათი საჭიროებების ადვოკატობას;
8. იყენებენ არაგანსჯით და ანტიდისკრიმინაციურ მიდგომას უფლებებზე დაფუძნებული სოციალური მუშაობის პრაქტიკაში სოციალური მუშაობის ეთიკის კოდექსის შესაბამისად;
9. აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებისა და პროფესიული ფასეულობების გათვალისწინებით ახორციელებენ საკუთარი პრაქტიკის შეფასებასა და განვითარებაზე ორიენტირებული აქტივობების დაგეგმვას.

დასაქმების სფეროები

საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულებს, მათი ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების შესაბამისად, ექნებათ შემდეგ სფეროებში დასაქმების შესაძლებლობა:

- ბავშვთა და მათი ოჯახების კეთილდღეობა და დაცვა;
- ბავშვთა, მოზარდთა და ახალგაზრდების ფსიქო-სოციალური კეთილდღეობა;
- არასრულწლოვანთა და ზრდასრულთა მართლმსაჯულება;
- ქალთა დაცვა ძალადობისგან;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვა;
- ხანდაზმულთა დაცვა;
- ადამიანის უფლებების დაცვა;
- ძალადობის პრევენცია, ძალადობისგან დაცვა;
- უსახლკაროთა დაცვა;
- უმუშევართა დაცვა;

- ზიანის შემცირება.

პროგრამის სახელწოდება	სოციოლოგია Sociology
საფეხური	ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაცია	სოციოლოგიის ბაკალავრი Bachelor of Sociology
სწავლების ხანგრძლივობა	8 სემესტრი
ECTS	240
სწავლების გადასახადი	2250
პროგრამის განხორციელების ადგილი	თსუ მეექვსე კორპუსი, ჭავჭავაძის 8
პროგრამის განმახორციელებელი ერთეული	სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
	სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულება
საკონტაქტო პირი	პროგრამის ხელმძღვანელი: ამირან ბერძენიშვილი, , ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; იაგო კაჭკაჭიშვილი, სოციოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
	პროგრამის კოორდინატორი: ამირან ბერძენიშვილი, , ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; იაგო კაჭკაჭიშვილი, სოციოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
	ტელ.: +995 599 36 58 45 +995 599 56 63 55
	ელფოსტა: dphil@tsu.ge
პროგრამის სტრუქტურა	
კურსის სტატუსი	ECTS-მოცულობა
სავალდებულო საუნივერსიტეტო	50 კრედიტი
სავალდებულო დარგობრივი	90 კრედიტი

არჩევითი დარგობრივი	30 კრედიტი
თავისუფალი კრედიტები	10 კრედიტი
დამატებითი პროგრამა (minor)	60 კრედიტი
სულ	240 კრედიტი

პროგრამის მიზანი

სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზანია მოამზადოს დარგის კვალიფიციური სპეციალისტები, შესაბამისად:

- უზრუნველყოს სტუდენტები სოციოლოგიურ თეორიებსა და სოციოლოგიური კვლევის მეთოდოლოგიაში ფართო თეორიული ცოდნით;
- გააცნოს სტუდენტებს სოციოლოგიის ძირითადი ქვედისციპლინები, როგორებიცაა პოლიტიკის, ეკონომიკის, კულტურის, რელიგიის, ოჯახის, გენდერის, ენის, მეცნიერების, ჯანდაცვის, სამართლის, დანაშაულის სოციოლოგია;
- განუვითაროს სტუდენტებს პრაქტიკული სოციოლოგიური კვლევის განხორციელების უნარ-ჩვევები;
- განუვითაროს სტუდენტს სოციოლოგიური წარმოსახვა და სოციალურ რეალობაზე კრიტიკული რეფლექსიის უნარი.

სწავლის მეთოდები

1. ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი
2. წიგნზე მუშაობის მეთოდი
3. წერითი მუშაობის მეთოდი, რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის ან ესეს შესრულება და ა.შ.
4. პრაქტიკული მეთოდები, რომლებიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ - ჩვევებს ჩამოუყალიბებს: სასწავლო და პედაგოგიური პრაქტიკა
5. საველე მუშაობა და სხვ.
6. ელექტრონული სწავლების მეთოდები

შეფასების პროცედურები

შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა) (A) ფრიადი –შეფასების 91-100 ქულა;
ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

არსებობს ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ვ) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება;
ზ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან

აქვს შესასწავლი. *დასკვნით და დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არა ნაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღისა.* შეფასების კრიტერიუმები წარმოადგენს შეფასების მეთოდის საზომ ერთეულს, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე საგანმანათლებო პროგრამის თითოეული კომპონენტებისთვის. დასკვნით გამოცდაზე გასვლის წინაპირობა განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებში, ხოლო დასკვნითი გამოცდა ითვლება ჩაბარებულად, თუ სტუდენტმა გამოცდაზე მიიღო მაქსიმალური ქულის 50 % (დამატებითი პირობები განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსის მიხედვით). საბაკალავრო ნაშრომის შეფასება ხდება სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბაკალავრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესის[8] მიხედვით.
სწავლის შედეგები
საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ: ***ა) ცოდნა და გაცნობიერება*** • დეტალურად აღწერს და აანალიზებს სოციოლოგიის ისტორიას და მისი განვითარების ძირითად ტენდენციებს; • სრულყოფილად განმარტავს სოციოლოგიის ძირითად ცნებებსა და ტერმინებს, თეორიულ მიდგომებსა და სოციალური კვლევის თვისებრივ და რაოდენობრივ მეთოდებს. ***ბ) უნარები*** • ირჩევს სოციოლოგიური კვლევის შესაფერის მეთოდებს, რათა სიღრმისეულად შეისწავლოს სოციალური პრობლემები და მოიპოვოს სანდო მონაცემები სოციალური რეალობის შესახებ; • შეიმუშავებს რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის დიზაინს, კერძოდ, შეუძლია კვლევის მიზნისა და ამოცანების, აგრეთვე ჰიპოთეზების გამართულად ფორმულირება, რაოდენობრივი და თვისებრივი შერჩევის განხორციელება, მონაცემების მოპოვებისა და ანალიზის მეთოდების ადეკვატურად შერჩევა, აგრეთვე ემპირიული კვლევის განხორციელება ეთიკური სტანდარტების დაცვით, სათანადო ზედამხედველობის ქვეშ; • პირველადი სოციოლოგიური ინფორმაციის დამუშავებისა და ანალიზის საფუძველზე, ადეკვატური დასკვნები გამოაქვს შესასწავლი პრობლემის არსის შესახებ და შესაბამის რეკომენდაციებს შეიმუშავებს მის გადასაჭრელად; • კომუნიკაციას ამყარებს ქართულ და უცხო ენაზე (ინგლისური ენა, B2) როგორც კვლევის მონაწილეებთან/რესპონდენტებთან, ისე დარგის წარმომადგენლებთან, რათა კვლევის მონაცემები გააცნოს და პროფესიულ დისკუსიებში ჩაერთოს. ***გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა*** • აცნობიერებს პროფესიული ეთიკის პრინციპების დაცვის აუცილებლობას სოციოლოგიური კვლევის ჩატარებისას და ამ მიზნით იცავს

[8] საბაკალავრო ნაშრომის მომზადბისა და დაცვის წესი https://bit.ly/2WhKPsQ

კვლევის ობიექტის (ადამიანი, ჯგუფები) უფლებებს (პირველ რიგში, მათ კონფიდენციალურობას და ანონიმურობას); ასევე, აღიარებს კულტურული მრავალფეროვნებისა და ტოლერანტობის პრინციპებს; • ავტონომიურია გადაწყვეტილებების მიღებაში და უარს ამბობს მიკერძოებული კვლევების ჩატარებაზე, კერძო პირებისა თუ ლობისტური ჯგუფების კარნახით; • იცავს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს და თავს არიდებს პლაგიატს.
დასაქმების სფეროები
სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია შრომითი საქმიანობის დაწყება ყველა იმ სახელმწიფო თუ არასამთავრობო ორგანიზაციაში, რომელიც ზოგადი კვალიფიკაციის სოციოლოგს საჭიროებს. ასეთი კვალიფიკაცია კი პრინციპულად ყველა სფეროში არსებულ ორგანიზაციას შეიძლება დასჭირდეს. კუსდამთავრებულს უფლება აქვს სწავლა განაგრძოს უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე - მაგისტრატურაზე.